სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

14 სექტემბერი, 2023 წ.

ბრძანება N 01-02/171

ბსუ-სთან მოქმედი შრომითი ხელშეკრულების მქონე აკადემიური პერსონალის 2023-2024 სასწავლო წლიდან ბსუ-სთან აფილირებისა და აკადემიური დატვირთვის კატეგორიის განსაზღვრისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №3 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს **2023 წლის 08 სექტემბრის N07-01/42 გადაწყვეტილების საფუძველზე,**

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის N07-01/42 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესის" (შემდეგში ,,აფილირების წესი") მოთხოვნათა და <u>გარდამავალი დებულებების გათვალისწინებით</u> 2022-2023 სასწავლო წლის ჩათვლით ბსუ-სთან მოქმედი შრომითი ხელშეკრულების მქონე აკადემიური პერსონალის *2023-2024 სასწავლო წლიდან* ბსუ-სთან აფილირებისა და აკადემიური დატვირთვის კატეგორიის განსაზღვრისათვის გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1.1. დამტკიცდეს აკადემიური თანამდებობის პირის ბსუ-სთან აფილირების და 2023-2024 სასწავლო წლისათვის სამუშაო (აკადემიური) დატვირთვის კატეგორიის (ა1; ა2; ბ1; ბ2; ბ3) განსაზღვრის შესახებ განაცხადის (შეთანხმების) ფორმა, წინამდებარე ბრძანების N1 დანართის შესაბამისად;

1.2. დამტკიცდეს ბსუ-სთან არააფილირებული პირის 2023-2024 სასწავლო წლისათვის ,,გ" კატეგორიის სამუშაო (აკადემიური) დატვირთვის შესახებ განაცხადის ფორმა, წინამდებარე ბრძანების N2 დანართის შესაბამისად;

1.3. ბსუ-სთან მოქმედი შრომითი ხელშეკრულების მქონე აკადემიურ პერსონალს დაევალოს არაუგვიანეს 18 სექტემბრისა მატერიალური სახით წარმოადგინოს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია) წინამდებარე ბრძანების დანართების შესაბამისად შევსებული განაცხადი <u>(აღნიშნული ვალდებულებისაგან თავისუფლდება</u> მოქმედი შრომითი ხელშეკრულების მქონე პირები, რომლებიც არიან არააფილირებული აკადემიური თანამდებობის პირები და არ აქვთ განზრახული 2023-2024 სასწავლო წლიდან ბსუ-სთან აფილირების შეთანხმების გაფორმება/არ შეუცვლიათ სამუშაო

ადგილი ან/და არ წარმოადგენენ ბსუ-სთან აფილირების ახალ განაცხადს. აღნიშნულ პირებს 2023-2024 სასწავლო წლისათვის განესაზღვრებათ ,,გ" კატეგორიის სამუშაო დატვირთვა);

1.4. დასაქმებულის მიერ წინამდებარე ბრძანების N1 დანართის ფორმის მიხედვით განაცხადი უნდა შეივსოს სრულად, მათ შორის N1 დანართის პირველ პუნქტში აღნიშნული სამუშაო (აკადემიური) დატვირთვის კატეგორიებიდან (ა1; ა2; ბ1; ბ2; ბ3) მხოლოდ მის მიერ მონიშნული შრომითი კატეგორიის ველი.

1.5. ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურმა (კანცელარია) და სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა, ერთობლივად უზრუნველყონ წარმოდგენილი განაცხადების რეგისტრაცია (აწარმოონ ჟურნალი, დასაქმებულის ხელმოწერით) და აკადემიური პერსონალის სიის ფორმირება, პერსონალის განაცხადებში მითითებული აფილირების, შრომის დატვირთვის კატეგორიებისა და სხვა დაწესებულებაში შეთავსებით მუშაობაზე რექტორის თანხმობის მიღების განაცხადის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მითითებით (აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების პერსონალი უფლებამოსილია აკადემიური თანამდებობის პირის მიერ წარმოდგენილ განაცხადში არსებული ხარვეზის შემთხვევაში გაუწიოს მას დამატებით კონსულტაცია და მისცეს საშუალება წარმოადგინოს რედაქტირებული განაცხადი);

1.6. დასაქმებულის აფილირების ან/და სხვა დაწესებულებაში შეთავსებით მუშაობაზე თანხმობის მიღების განაცხადს ფაკულტეტის დეკანი ადასტურებს ამავე განაცხადის შესაბამისი ველში ხელმოწერით. დასაქმებულის შეთავსებით მუშაობაზე თანხმობას ბსუ-ს რექტორი ადასტურებს ამავე დასაქმებულის განაცხადზე ხელმოწერით, რაც განიხილება ,,აფილირების შეთანხმებად" და შესაბამისად, დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ნაწილად. რექტორის მხრიდან უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, დასაქმებულს ეცნობება წერილით (საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მიერ, რექტორის სამსახურებრივი განკარგულების შესაბამისად).

1.7. ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურმა (კანცელარია) და სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა რექტორს წარუდგინონ წინამდებარე ბრძანების 1.3. პუნქტში აღნიშნული აკადემიური პერსონალის სია, სამსახურებრივი ბარათის მეშვეობით, ხოლო წარმოდგენილი განაცხადები - მატერიალური სახით.

1.8. წინამდებარე ბრძანებაში აღნიშნული პროცედურის გავლის შემდეგ (მათ შორის ზოგიერთი დასაქმებულის აფილირების ან/და სხვა დაწესებულებაში შეთავსებით მუშაობაზე რექტორის თანხმობის გათვალისწინებით) ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურმა (კანცელარია) და სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა ერთობლივად უზრუნველყონ ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის 2023-2024 სასწავლო წლიდან ბსუ-სთან აფილირებისა და აკადემიური დატვირთვის კატეგორიის განსაზღვრის თაობაზე" ბსუ-ს რექტორის ბრძანების მომზადება;

1.9. ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის 2023-2024 სასწავლო წლიდან ბსუ-სთან აფილირებისა და აკადემიური დატვირთვის კატეგორიის განსაზღვრის თაობაზე" ბსუ-ს რექტორის ბრძანების შესაბამისად ბსუ-ს ფაკულტეტებმა უზრუნველყონ ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირების მიერ წინამდებარე ბრძანებისა და ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის N07-01/42 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესის" მოთხოვნათა

დაცვით აკადემიური პერსონალის შრომითი (აკადემიური) დატვირთვის პროექტის ფორმირება და შესაბამისი სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა;

1.10. ბსუ-ს აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილი და ბსუ-ს რექტორის მიერ ხელმოწერილი აფილირების განაცხადები (შეთანხმებები), ასევე დამატებითი დოკუმენტაცია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შრომითი დატვირთვის თაობაზე (ასეთი არსებობის შემთხვევაში), განთავსდეს აკადემიური პერსონალის პირად საქმეებში.

1.11. სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა, საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) კოორდინირებული მუშაობით უზრუნველყოს თითოეული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შრომითი (აკადემიური) დატვირთვის პროექტის ფორმირება. ფაკულტეტიდან/პერსონალიდან წარმოდგენილ ინფორმაციასა და ხარისხის მართვის სისტემაში (QMS ბაზაში) ასახულ ინფორმაციას ან/და დასაქმებულის სხვა დაწესებულებაში შრომითი დატვირთვის შესახებ უნივერსიტეტის მიერ გამოთხოვილ ინფორმაციას შორის სხვაობის შემთხვევაში სასწავლო პროცესის დეპარტამენტი უფლებამოსილია დასაქმებულის შრომითი დატვირთვის მოცულობა (კატეგორია) შესაბამის ფაკულტეტთან და საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) კოორდინირებული მუშაობით მოიყვანოს შესაბამისობაში ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის N07-01/42 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ,,აფილირების წესთან";

1.12. ბსუ-ს აკადემიურ პერსონალს განემარტოს, რომ ვალდებულნი არიან უზრუნველყონ:

ა) 2023 წლის 25 სექტემბრამდე - აფილირების (შრომითი დატვირთვის კატეგორიის) განაცხადებში მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად ბსუ-ში და სხვა დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობის ბსუ-ს აფილირების წესთან შესაბამისობაში მოყვანა;

ბ) ბსუ-ში და სხვა დაწესებულებაში მათი საქმიანობის შესახებ/საერთო სამუშაო დატვირთვის შესახებ წერილობითი ინფორმაციის წარმოდგენა (დაკავებული თანამდებობის/აკადემიური/სამეცნიერო საქმიანობის სახის/სემესტრული საათობრივი სამუშაო დატვირთვის მითითებით), შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან/ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში.

1.13. ბსუ-ს აკადემიური პერსონალის მიერ წინამდებარე ბრძანების მოთხოვნათა შესრულების მონიტორინგი განახორციელონ შესაბამისი ფაკულტეტების დეკანებმა (დეკანის მოადგილეებმა, დეკანის დავალებით).

2. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს აკადემიურ პერსონალს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,ბსუ-სთან მოქმედი შრომითი ხელშეკრულების მქონე აკადემიური პერსონალის 2023-2024 სასწავლო წლიდან ბსუ-სთან აფილირებისა და აკადემიური დატვირთვის კატეგორიის განსაზღვრისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ"

ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 14 სექტემბრის N 01-02/171 ბრძანების

დანართი N1

ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირის განაცხადი

ბსუ-სთან აფილირებისა და შრომითი დატვირთვის კატეგორიის შესახებ

დასაქმებულის შესახებ ზოგადი ინფორმაცია	
სახელი და გვარი	
პირადობის მოწმობის პირადი ნომერი	
რეგისტრაციის მისამართი	
ფაქტობრივი მისამართი	
ტელეფონი	
ელ.ფოსტა	
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ფაკულტეტისა დასახელება**	○ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ○ ტურიზმის ფაკულტეტი ○ იურიდიული და სოციალურ მეცნეირებათა ფაკულტეტი ○ ტექნოლოგიური ფაკულტეტი ○ ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი ○ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი ○ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **აკადემიური თანამდებობის დასახელება**	○ **პროფესორი** ○ **ასოცირებული პროფესორი** ○ **ასისტენტ-პროფესორი** ○ **ასისტენტი** (ბოლო კონკურსის შედეგად ---------- წლიდან -------- ---------- წლის ვადით). შრომითი ხელშეკრულება N -- --------.20 წ.

1. **ბსუ-სთან აფილირების (შეთანხმების)/სამუშაო (აკადემიური) დატვირთვის განსაზღვრის/სხვა დაწესებულებაში შეთავსებით სამუშაოს შესახებ თანხმობის მიღების განაცხადი:**

გავეცანი ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს **2023 წლის 08 სექტემბრის N07-01/42 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ** ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესს" (შემდეგში ,,აფილირების წესი"), **ვაცხადებ თანხმობას** საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან **აფილირებაზე** და გთხოვთ განმისაზღვროთ **სამუშაო** (აკადემიური) **დატვირთვის შემდეგი კატეგორია** (შემოხაზეთ):

- **„ა1" კატეგორიის** შრომითი (აკადემიური) **დატვირთვა;**
- **„ა2" კატეგორიის** შრომითი (აკადემიური) **დატვირთვა;**
- **„ბ1" კატეგორიის** შრომითი (აკადემიური) **დატვირთვა;**
- **„ბ2" კატეგორიის** შრომითი (აკადემიური) **დატვირთვა;**
- **,,ბ3" კატეგორიის** შრომითი (აკადემიური) **დატვირთვა;**

შენიშვნა: *შემოხაზეთ შესაბამისი შრომითი დატვირთვის კატეგორია და შეავსეთ შესაბამისი ველები ქვემოთ (საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ ველები)*

1. **„ა1" კატეგორიის** სამუშაო (აკადემიური) **დატვირთვა** განესაზღვრება ბსუ-სთან აფილირებულ აკადემიურ თანამდებობის პირს, რომელიც **დასაქმებულია მხოლოდ ბსუ-ში** ან/და სხვა დაწესებულებაში, სადაც ხორციელდება ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული **კლინიკური კომპონენტი/პრაქტიკა.**			
სხვა დაწესებულების დასახელება	*სხვა დაწესებულებაში დაკავებული თანამდებობა (აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში **აფილირების მითითებით**) და შესასრულებელი სამუშაოს მოკლე აღწერა*	1. სამუშაო დღეები; 2. სამუშაო განაკვეთი; 3. სამუშაო საათები კვირაში/სემესტრში	**შენიშვნა**/დამატებითი ინფორმაცია დასაქმებულის სურვილისამებრ

„ა2" კატეგორიის სამუშაო (აკადემიური) **დატვირთვა** განესაზღვრება ბსუ-სთან აფილირებულ აკადემიურ თანამდებობის პირს, რომელიც ახორციელებს სხვა უსდ-ში საგანმანათლებლო საქმიანობას (სასწავლო კვირაში **არაუმეტეს 6 აკადემიური საათი/სემესტრში მაქსიმუმ 90 აკადემიური საათი**), თუ ამით ხელი არ ეშლება მის მიერ ბსუ-ში ძირითადი სამუშაოს შესრულებას.			
სხვა დაწესებულების დასახელება	*სხვა დაწესებულებაში დაკავებული თანამდებობა (აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში*	1. სამუშაო დღეები; 2. სამუშაო განაკვეთი; 3. სამუშაო საათები კვირაში/სემესტრში	დამატებითი ინფორმაცია

	აფილირების მითითებით) *და შესასრულებელი სამუშაოს მოკლე აღწერა*		დასაქმებულის სურვილისამებრ

„B1“ კატეგორიის სამუშაო (**აკადემიური) დატვირთვა** განესაზღვრება ბსუ-სთან აფილირებულ აკადემიურ თანამდებობის პირს, რომელსაც ამავდროულად **უჭირავს ბსუ-ს ადმინისტრაციული, სამეცნიერო ან დამხმარე თანამდებობა**	
ბსუ-ში დაკავებული ბსუ-ს ადმინისტრაციული, სამეცნიერო ან დამხმარე თანამდებობა	დამატებითი ინფორმაცია დასაქმებულის სურვილისამებრ

„B2“ კატეგორიის სამუშაო (**აკადემიური) დატვირთვა** განესაზღვრება ბსუ-სთან აფილირებულ აკადემიურ თანამდებობის პირს, რომელიც ახორციელებს სხვა უსდ-ში საგანმანათლებლო საქმიანობას (სასწავლო კვირაში **არაუმეტეს 12 აკადემიური საათი/სემესტრში მაქსიმუმ 180 აკადემიური საათი**), თუ ამით ხელი არ ეშლება მის მიერ ბსუ-ში ძირითადი სამუშაოს შესრულებას.			
სხვა დაწესებულების დასახელება	*სხვა დაწესებულებაში დაკავებული თანამდებობა (აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში* ***აფილირების მითითებით)*** *და შესასრულებელი სამუშაოს მოკლე აღწერა*	1. სამუშაო დღეები; 2. სამუშაო განაკვეთი; 3. სამუშაო საათები კვირაში/სემესტრში	დამატებითი ინფორმაცია დასაქმებულის სურვილისამებრ

„B3“ კატეგორიის სამუშაო (აკადემიური) დატვირთვა განესაზღვრება ბსუ-სთან აფილირებულ აკადემიურ თანამდებობის პირს, რომელსაც ამავდროულად უჭირავს **სხვა დაწესებულების ადმინისტრაციული ან დამხმარე თანამდებობა,** თუ ამით ხელი არ ეშლება მის მიერ ბსუ-ში ძირითადი სამუშაოს შესრულებას

სხვა დაწესებულების დასახელება	*სხვა დაწესებულებაში დაკავებული თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს მოკლე აღწერა*	1. სამუშაო დღეები; 2. სამუშაო განაკვეთი;	დამატებითი ინფორმაცია დასაქმებულის სურვილისამებრ

2.. ბსუ-ს რექტორის თანხმობის მისაღებად დასაქმებულის განაცხადი სხვა დაწესებულებაში შეთავსებით მუშაობაზე:

დაწესებულების დასახელება	*სხვა დაწესებულებაში დაკავებული/დასაკავებელი თანამდებობა (აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში **აფილირების მითითებით**)*	ფაკულტეტის დეკანის თანხმობა (ხელმოწერა)

3. *დასაქმებულის პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაზე თანხმობა*

დასაქმებული აცხადებს თანხმობას ბსუ-სთან შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის პერიოდში ბსუ-ს მიერ დამუშავდეს დასაქმებულის პერსონალური ინფორმაცია, ბსუ-ს აფილირების წესის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველსაყოფად (მათ შორის გამოთხოვილი იქნეს ინფორმაცია სხვა დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობის პირის შრომითი დატვირთვის თაობაზე), კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

4. **დასკვნითი დებულება**

წინამდებარე განაცხადით ბსუ-სთან აფილირებაზე დასაქმებულის თანხმობისა და განაცხადის რექტორის ხელმოწერით დადასტურების შემთხვევაში, წინამდებარე განაცხადი მიიჩნევა ბსუ-ს და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

განაცხადის წარმოდგენის თარიღი ----------

დასაქმებულის ხელმოწერა ----------

ბსუ-ს რექტორი ----------

,,ბსუ-სთან მოქმედი შრომითი ხელშეკრულების მქონე აკადემიური პერსონალის 2023-2024 სასწავლო წლიდან ბსუ-სთან აფილირებისა და აკადემიური დატვირთვის კატეგორიის განსაზღვრისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ"

ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 14 სექტემბრის N01-02/17/ბრძანების

დანართი N2

ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირის განაცხადი

ბსუ-სთან არააფილირებისა და ,,გ" კატეგორიის შრომითი დატვირთვის განსაზღვრის შესახებ

დასაქმებულის შესახებ ზოგადი ინფორმაცია	
სახელი და გვარი	
პირადობის მოწმობის პირადი ნომერი	
რეგისტრაციის მისამართი	
ფაქტობრივი მისამართი	
ტელეფონი	
ელ.ფოსტა	
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ფაკულტეტისა დასახელება**	○ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ○ ტურიზმის ფაკულტეტი ○ იურიდიული და სოციალურ მეცნეირებათა ფაკულტეტი ○ ტექნოლოგიური ფაკულტეტი ○ ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი ○ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი ○ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **აკადემიური თანამდებობის დასახელება**	○ **პროფესორი** ○ **ასოცირებული პროფესორი** ○ **ასისტენტ-პროფესორი** ○ **ასისტენტი** (ბოლო კონკურსის შედეგად ---------- წლიდან -------- ---------- წლის ვადით). შრომითი ხელშეკრულება N -- --------.20 წ.

1. **ბსუ-სთან არააფილირების და სამუშაო (აკადემიური) დატვირთვის განსაზღვრის/სხვა დაწესებულებაში შეთავსებით სამუშაოს შესახებ თანხმობის მიღების განაცხადი:**

გავეცანი ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს **2023 წლის 08 სექტემბრის N07-01/42 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ** ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესს" (შემდეგში ,,აფილირების წესი"), **უარს ვაცხადებ** საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან **აფილირებაზე** და გთხოვთ განმისაზღვროთ **„გ" კატეგორიის** შრომითი (აკადემიური) **დატვირთვა:**

„გ" კატეგორიის სამუშაო (აკადემიური) დატვირთვა განესაზღვრება ბსუ-სთან **არააფილირებულ** აკადემიურ თანამდებობის პირს, რომელიც სხვა დაწესებულებაში ახორციელებს საგანმანათლებლო ან/და სხვა საქმიანობას		
სხვა დაწესებულებაში შეთავსებით მუშაობაზე ბსუ-ს რექტორის თანხმობის მისაღებად დასაქმებულის განაცხადი		
სხვა დაწესებულების დასახელება	*სხვა დაწესებულებაში დაკავებული თანამდებობა (აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში **აფილირების** მითითებით)*	დამატებითი ინფორმაცია დასაქმებულის სურვილისამებრ
ფაკულტეტის დეკანის თანხმობა (ხელმოწერა)		

2. ***დასაქმებულის პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაზე თანხმობა***

დასაქმებული აცხადებს თანხმობას ბსუ-სთან შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის პერიოდში ბსუ-ს მიერ დამუშავდეს დასაქმებულის პერსონალური ინფორმაცია, ბსუ-ს აფილირების წესის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველსაყოფად (მათ შორის გამოთხოვილი იქნეს ინფორმაცია სხვა დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობის პირის შრომითი დატვირთვის თაობაზე), კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

განაცხადის წარმოდგენის თარიღი ----------

დასაქმებულის ხელმოწერა ----------

ბსუ-ს რექტორი ----------